

ძირითადი საგანმანათლებლო  
ერთეულის - ფაკულტეტის  
დებულება



SPORTUNI



## თავი I

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1.

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს **სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის** (შემდგომში - უნივერსიტეტი) უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სასწავლო-სამეცნიერო სფეროს მიზნებსა და ამოცანებს, სტატუსს, ფუნქციებსა და კომპეტენციას, ფაკულტეტის სტრუქტურასა და მართვას, აწესრიგებს ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

#### მუხლი 2.

2.1. ფაკულტეტი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილი უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული, სასწავლო სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2.2. ფაკულტეტის დებულებასა და სტრუქტურას დეკანის წარდგინებით შეიმუშავენ ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

#### მუხლი 3.

3.1. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე;

ბ) სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა;

გ) აკადემიური უმაღლესი განათლების (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

დ) სტუდენტისა და პროფესორის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

ე) აკადემიური თავისუფლებისა კეთილსინდისიერების დაცვა;

ვ) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.



- ზ) საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- თ) გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა და წახალისება;
- გ) სპორტის სფეროში ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება.

## თავი II

### ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

#### მუხლი 4

- 4.1. ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების (მმართველი სუბიექტების) მეშვეობით:
- ა) ფაკულტეტის საბჭო;
  - ბ) ფაკულტეტის დეკანი ;
  - გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 4.2. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი);
- 4.3. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიზნით შექმნილია დეკანატი, რომელს თანამშრომლების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.
- 4.4. ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით. ისინი ანაგრიშვალდებულნი არიან დეკანის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათი სამუშაო აღწერილობებით.
- 4.5. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს:
- ა) სტუდენტთა პირადი საქმის შექმნას;
  - ბ) სტატისტიკის წარმოებას;
  - გ) სტუდენტთა მონაცემების შეტანას ელექტრონულ ბაზაში და მის სისტემატურ განახლებას;
  - დ) სიების, უწყისების და სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციის წარმოებას;
  - ე) სტუდენტებისათვის ცნობებისა და სხვა სახის ინფორმაციის (აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვა) გაცემას;
  - ვ) საგამოცდო უწყისების გაცემას/მიღებას/დამუშავებას;
  - ზ) დამამთავრებელი კურსების მონაცემების გადამოწმებას აკადემიური ხარისხის მინიჭების ბრძანების მოსამზადებლად და დანართის შესავსებად;



თ) საგამოცდო პერიოდში სტუდენტის კონტროლის განხორციელებას;

აკადემიურ და ფინანსურ დავალიანებაზე

ი) სტუდენტთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის სისტემატურ აღრიცხვას, საარქივო მასალის არქივისთვის გადაცემას;

კ) სხვა მითითებებისა და დავალებების შესრულებას.

### **მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო**

5.1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

5.2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ს.

### **მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება**

6.1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ვ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ზ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

თ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული

აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.



6.2. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა მუშაობის ორგანიზაციულ, იურიდიულ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

6.3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები მოიწვევა დეკანის მიერ თვეში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა (სხდომები).

6.4. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს დეკანს, ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3-ის, აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ის, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა 1/3 -ის და რექტორის მოთხოვნით.

6.5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს წარმართავს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დროებით უფლებამოსილი საბჭოს წევრი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ჩატარების დროსა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს საბჭოს წევრებს.

6.6. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული სხდომა აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს დეკანი (ან სხდომის წარმმართველი საბჭოს წევრი) და სხდომის მდივანი.

6.7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილია შეიმუშავოს საბჭოს მუშაობის რეგლამენტი, საქმიანობის ეფექტურად ადმინისტრირებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით.

## **მუხლი 7. დეკანი**

7.1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანად შეიძლება არჩეულ იქნეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7.2. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 4 წლისა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს პირველივე სხდომაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, მათ შორის შესაბამის ფაკულტეტზე.

### **7.3. დეკანი:**

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;



დ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე)თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის;

ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

## **მუხლი 8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

8.1. ფაკულტეტზე სწავლების, აგრეთვე, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

8.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე;

8.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ოთხი წლის ვადით.

8.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

8.5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი წესით.

## **თავი IV**

### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 9.**

9.1. ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

9.2. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. დებულება ძალაშია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.



9.4.დებულება ძალას კარგავს ახალი ფაკულტეტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

დებულების

დამტკიცების

ან/და